თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №20**

16 დეკემბერი 2017 წ.

ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შექმნის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №06 დადგენილების ,,თელავის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად - 2017 წლის 16 დეკემბრიდან - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ ალექსი ძულიაშვილის არჩევა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

7

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარის

ნანა ხვისტანის

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის შესახებ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. ხვისტანი

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემოსული № 05 ფურც. 13

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა

კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების: ალექსი მჭულიაშვილის, ბაადურ რევაზიშვილის, ალექსანდრე კუპატაძის, ზაქარია გრიშიკაშვილისა და აზრამ მახარიაშვილის განცხადება და მიგვაჩნია, რომ საკრებულოს დეპუტატების მიერ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 30-ე მუხლის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით, შესაბამისად ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' ექვემდებარება რეგისტრაციას.

კომისიის თავმჯდომარე ნ. [signature] ნ. ხვისტანი

28.11.2017 წ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნანა ხვისტანს

გაცნობებთ, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: ალექსი ძულიაშვილმა, ზაადურ რევაზიშვილმა, ალექსანდრე კუპატაძემ, ზაქარია გრიშიკაშვილმა და აბრამ მახარიაშვილმა მივიღეთ გადაწყვეტილება ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შექმნის შესახებ.

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ჩავატარეთ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამფუძნებელი სხდომა, სადაც მიღებულ იქნა ფრაქციის პლატფორმა და წესდება, ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ალექსი ძულიაშვილი.

გთხოვთ აღნიშნული ფრაქცია გაატაროთ რეგისტარციაში.

დანართი:

1. ფრაქციის დამფუძნებელი სხდომის ოქმი;
2. ფრაქციის პლატფორმა;
3. ფრაქციის წესდება;

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე: ალექსი ძულიაშვილი

ფრაქციის წევრები: ზაადურ რევაზიშვილი

ალექსანდრე კუპატაძე

ზაქარია გრიშიკაშვილი

აბრამ მახარიაშვილი

22 ნოემბერი 2017 წელი.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსული № 04 ფურც. 11
„22“ 11 2017 წ.

# საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

## 2017 წლის 21 ნოემბრის N1 სხდომის ოქმი

2017 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა. სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

**დღის წესრიგი:**

1. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნა;

2. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევა;

3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

4. ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების მიღება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსი მულიაშვილი

2. ბაადურ რევაზიშვილი

3. ზაქარია გრიშიკაშვილი

4. ალექსანდრე კუპატაძე

5. აბრამ მახარიაშვილი

.

**მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. საკრებულოს წევრების ალექსი მულიაშვილის, ბაადურ რევაზიშვილის, ზაქარია გრიშიკაშვილი, ალექსანდრე კუპატაძის და აბრამ მახარიაშვილის ინიციატივით შეიქმნას საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

2. ფრაქციის თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელდა ალექსი მულიაშვილის კანდიდატურა.

ფრაქციის თავმჯდომარედ, არჩეულ იქნა ალექსი მულიაშვილი

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატად დასახელდა აზრამ მახარიაშვილის კანდიდატურა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა აზრამ მახარიაშვილი

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

4. წარმოდგენილ და მიღებულ იქნა პარტიის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

ფრაქციის თავმჯდომარე ალექსი მულიაშვილი

*მიღებულია საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“*

*2017 წლის 21 ნოემბრის დამფუძნებელ სხდომაზე*

*ფრაქციის თავმჯდომარე*

*ალექსი მულიაშვილი*

## ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა

## ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

1. თელავის თვითმმართველობითი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის, ღია თვითმმართველობის დამკვიდრების ხელშეწყობა;
2. თელავის მოსახლეობის ინტერესების დაცვა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება;
3. სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა;
4. მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობა მოსახლეობის საცხოვრისის გაუმჯობესების მიზნით;
5. თელავის ურბანული და სამშენებლო განვითარების კონცეფციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
7. თელავის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა;
8. სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თელავის მოსახლეობის უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა;
9. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა;
10. სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების მომზადება და დაწყებული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

ფრაქციის თავმჯდომარე: ა. მულიაშვ [signature] ალექსი მულიაშვილი

*„მიღებულია“*

*საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“*

*2017 წლის 21 ნოემბერს დამფუძნებელ სხდომაზე*

*ფრაქციის თავმჯდომარე: ალექსი ძულიაშვილი*

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

# წესდება

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში –საკრებულო) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (შემდგომში - „ფრაქცია“) არის საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საკრებულოს რეგლამენტი, სხვა ნორმატიული აქტები, წინამდებარე წესდება და ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა

## თავი II

## ფრაქციის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2

ფრაქციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია

ა) საკრებულოსა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობა;

ბ) ფრაქციის წევრების აქტიურობის გაზრდისა და შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენისადმი ხელშეწყობა;

გ) საკრებულოს საქმიანობის განხორციელებისას ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვა;

დ) ფრაქციის მიზანია საკრებულოს მიერ საკითხების განხილვა-გადაწყვეტისას თავისი პოლიტიკური პლატფორმის შესაბამისი კურსის გატარების ხელშეწყობა.

## თავი III

## ფრაქციის ძირითადი უფლებამოსილებები

მუხლი 3

ფრაქციის უფლებამოსილია:

ა) მოახდინოს საკრებულოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ინიცირება;

ბ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს და თელავის მუნიციპალიტეტის მერიას;

გ) მოითხოვოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

დ) უფლება აქვს მოითხოვოს სხდომათა დარბაზში ფრაქციისთვის ადგილის, ხოლო საკრებულოს შენობაში – სამუშაო ფართობის გამოყოფა;

ე) განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტით და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

## თავი IV

## ფრაქციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 4

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

2 ფრაქციის სხდომა როგორც წესი დახურულია. გადაწყვეტილება ფრაქციის ღია სხდომის გამართვის შესახებ მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნის საფუძველზე.

3. ფრაქციის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. საჭიროებისამებრ ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

5. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და ფრაქციის სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის თავმჯდომარე.

6. დღის წესრიგში ცვლილებების (საკითხების ამოღება ან დამატება) შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს. დღის წესრიგი მტკიცდება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

7 ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

8. ფრაქციის სხდომა განიხილავს ფრაქციის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს.

9. ფრაქციის სხდომაზე განსახილველ საკითხს ამზადებს ფრაქციის ის წევრი, რომელიც არის ამავე საკითხზე წამყვანი კომისიის წევრი.

10. თუ საკითხი არ განეკუთვნება ფრაქციის არც ერთი წევრის უფლებამოსილებას, საკითხს, ფრაქციის სხდომის გადაწყვეტილებით ან ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით, ამზადებს ფრაქციის ერთ-ერთი წევრი.

11. ფრაქციის წევრი განსახილველი საკითხის შესახებ მოსაზრებებს წერილობით ან ზეპირად წარუდგენს ფრაქციის სხდომას. ალტერნატიული წინადადების და ახალი ინიციატივის წარდგენა ხდება, აგრეთვე, წერილობით ან ზეპირი ფორმით.

12. ფრაქციის სხდომა საჯაროდ გამოსატანი საკითხების განხილვის შემდეგ, ფრაქციის პოზიციის გამოსახატავად ნიშნავს გამომსვლელს.

13. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ფრაქციის წესდებაში;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;

გ) აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

დ) გადაწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;

ე) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

ვ) განიხილოს და გადაწყვიტოს ფრაქციაში საკრებულოს წევრის გაწევრიანებისა და ფრაქციიდან წევრის გარიცხვის საკითხი;

ზ) განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტით, კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 5

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან ფრაქციის სხდომაზე ღია კენჭისყრით, ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2. ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის არანაკლებ 2 წევრს.

3. ფრაქციის თავმჯდომარე:

ა) არის ფრაქციის უმაღლესი თანამდებობის პირი;

ბ) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;

გ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში და მის გარეთ;

დ) თანამდებობრივად შედის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში;

ე) იწვევს და ხელმძღვანელობს ფრაქციის სხდომას.

ვ) ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

5. ფრაქცია უფლებამოსილია გადააყენოს ფრაქციის თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს ფრაქციის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს 0დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 6

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ფრაქციის წევრთა უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მდივანს/მოადგილეს

2. ფრაქციის თავმჯდომარის მდივნის/მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის არანაკლებ 2 წევრს.

3. ფრაქციის მდივანი/მოადგილე

ა) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;

ბ) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას, მისი არყოფნისას ან მისი პირდაპირი დავალებით;

გ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფრაქციის თავმჯდომარის მდივანი/მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან თუ ამას მოითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედი წერილობით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოეს სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადარჩეულად ჩაითვლება თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

## თავი V

## ფრაქციის შემადგენლობა

### მუხლი 8

1. ფრაქციის წევრი შეიძლება გახდეს საკრებულოს წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის წესდებასა და მის პოლიტიკურ პლატფორმას.

2. ფრაქციაში გაწევრიანებისათვის საკრებულოს წევრი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელსაც აღნიშნული საკითხი შეაქვს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციაში ახალი წევრის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მხარს დაუჭერს ფრაქციის შემადგენლობის უმრავლესობა.

4. ფრაქციის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს ფრაქციის წევრი ან თავად იქნეს არჩეული ფრაქციის ნებისმიერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე;

ბ) მიმართოს ფრაქციას წინადადებით ან ინიციატივით საკითხებზე, რომელიც შეეხება საკრებულოს საქმიანობას და მოითხოვოს ფრაქციის მხარდაჭერა;

გ) დაუბრკოლებლად გაეცნოს და მიიღოს ფრაქციის მიერ მოპოვებული და ფრაქციაში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია და მასალები;

დ) ფრაქციასთან, მის თავმჯდომარესთან წინასწარი შეთანხმებით გამოვიდეს ფრაქციის სახელით;

ე) პოლიტიკურ საქმიანობაში ისარგებლოს ფრაქციის მხარდაჭერით;

ვ) ფრაქციის წევრი უფლებამოსილია რეგლამენტით დადგენილი წესით გავიდეს შემადგენლობიდან.

5. ფრაქციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის საქმიანობაში;

გ) საქმიანობდეს ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმის შესაბამისად, არ დაუშვას ამ პლატფორმის საწინააღმდეგო ქმედება, ფრაქციის დისკრედიტაცია;

დ) დაიცვას ფრაქციის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ფრაქციის თავმჯდომარის მითითებები;

ე) არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

6. ფრაქციას უფლება აქვს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შემადგენლობიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის შესახებ თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის ამოცანებს;

ბ) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმას;

გ) განზრახ ან არასაპატიო მიზეზით არღვევს ფრაქციის წესდების მოთხოვნებს.

7. ფრაქციის წევრის ფრაქციიდან გარიცხვის მოთხოვნის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

## თავი VI

## ფრაქციის წესდების გადასინჯვა

### მუხლი 10

1. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის არანაკლებ 2 წევრისა.

2. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი გააცნოს ფრაქციის ყველა წევრს და საკითხის ინიცირებიდან 1 თვის ვადაში იგი შეიტანოს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ მას მხარს დაუჭერს ფრაქციის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

## თავი VII

## ფრაქციის გაუქმება

მუხლი 11

ფრაქცია ჩაითვლება გაუქმებულად, თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემდეგ მასში გაერთიანებული დარჩება საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები.

ფრაქციის თავმჯდომარე : ა. მულიაშვილი ალექსი მულიაშვილი